გაუმარჯოს ოქტომბრის 16 წლისთავს

ფასი 5 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ კ. პ. (ბ) მიწკ. და თბ. პოლიტოტდელების ს. ... ს. ... ცალის ორგანო

ხელმოწერის პირობები: ერთი თვით — 1 მან. 50 კაპ., სამი თვით — 4 მან. 50 კაპ., ექვსი თვით — 8 მან. 50 კაპ., ერთი წლით — 16 მან. 50 კაპ.

სამშაბათი, 7 ნოემბერი 1933 წ. № 258 (3814)

„ლენინის დროშით გავიმარჯვებთ ჩვენ ოქტომბრის რევოლიუციისათვის ბრძოლებში. ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამ დროშითვე გავიმარჯვებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ რევოლიუციაში. გაუმარჯოს ლენინიზმს!“

(სტალინი)

თქვენი წელიწადი

„ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და კიდეც ვამაყობთ იმით, რომ წლად გვხედავს ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს შენება, ამით დაგვეწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაჩაგრული, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა“. ლენინის მიერ 1921 წ. დაწერილ ამ სიტყვებში მკვეთრადაა დახასიათებული მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ოქტომბრის დიდი რევოლიუციისა, რომელსაც დღეს უსრულდება 16 წელი.

საბჭოთა კავშირის გამარჯვებულმა პროლეტარიატმა, ლენინის და მისი თანამებრძოლის და საუკეთესო მოწაფის ამხ. სტალინის... აელძღვანელობით დაიწყო და წარმატებით ანვითარებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას, რევოლუციის 16 წლის გზა, განვლილი საბჭოთა კავშირის მშრომელების, მიერ, მათი სახსლით და ოფლით მორწყული მძიმე, მაგრამ თვალწარმტაცი გზა, უველაზე მკაფიოდ მეტყველებს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის იმ გამარჯვებებზე, რომლებიც მოპოებულია ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის მიერ.

დავაყაცდა და შეუდარებლად განმტკიცდა ოქტომბრის რევოლიუციის პირშში — პირველი მსოფლიოში საბჭოთა სახელმწიფო, ყველა ქვეყნის ჩაგრულთა სამშობლო, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ციხე. საბჭოთა კავშირის მშრომელთა ათეულ მილიონების ენტუზიაზმის ცეცხლი ანთებს მარტენის ღუმელებს და ბრძმედებს ტაიგაში, აგუგუნებს კუზნეცკის და მაგნიტოგორსკის ბლიუმინგებს, ამძიერავებს საბჭოთა მანქანათშენებელი, საავტომობილო, სატრაქტორო და საავიაციო მრეწველობის ქარხნების კონვეიერებს, ადენობს ათეული ათასობით ტონა თუჯს და ფოლადს, მიწის წიაღიდან იღებს ქვანახშირსა და ნავთს, საკოლმეურნეო სოფლის მინდვრებზე ამუშავებს 200 ათას ტრაქტორს, 20 ათას ავტომობილს და 12 ათასზე მეტ კომბაინს, მტკიცე საფუძველზე აწყობს ახალ ცხოვრებას, შეძლებულ და კულტურულ საკოლმეურნეო ცხოვრებას.

საბჭოთა კავშირში შეიქმნა სოციალიზმის მძლავრი ეკონომიური ბაზა, მძლავრი სოციალიტური მრეწველობა და კოლექტიური მიწადმოქმედება, ჩვენი ქვეყანა გადაიქცა ტეხიკურ - ეკონომიური მხრით მოწინავე ქვეყნად. რომელიც საბჭოთა მასალებიდან, საბჭოთა ქარხნებში ამზადებს ყველა და ყოველგვარ მოწყობილობას და მანქანებს, დაწყებული ბლიუმინგით და ელექტრომაგნეტური მოწყობილობით და ულტრის ხიდით დამთავრებული.

პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე მოპოებულია უდიდესი მიღწევები. შეიქმნა „სოციალიზმის მატერიალური საფუძველი“ (ლენინი) —საბჭოთა მანქანათმშენებლობა. 1928 წელს მრეწველობის ამ დარგმა გამოუშვა 1.382 მილიონი მანეთის პროდუქცია, მომდინარე წელს კი უშვებს 6 მილიარდ 800 მილიონი მანეთის პროდუქციას. წარმოების დონის მიხედვით საბჭოთა მანქანათმშენებლობა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. იგი შეადგენს მძლავრი სატრაქტორო და საავტომობილო მრეწველობა. საკოლმეურნეო სოფლემა საბჭოთა სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნებიდან მიიღო 150 ათასზე მეტი ტრაქტორი და ავტომობილი. 1931 წელს საბჭოთა სატრაქტორო ქარხნებმა დაამზადეს 14.250 ტრაქტორი, 1933 წლის მარტში ათ თვეში კი დამზადებულია 62.070 ტრაქტორი. რაც შეეხება ავტომობილს, 20 ათასიან ნაცვლად (1931 წ.) მიმდინარე წლის მარტში ათ თვეში დამზადდა 40.261.

შეუჩერებელი ტემპებით ვითარდება თუჯის, ფოლადის, ქვანახშირის, ნავთის, ფერადი ლითონების, მსუბუქი და გემო-ქვეების მრეწველობა, ნავთის, ამოღების და ქვანახშირის მხრივ საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში დაიჭირა მეორე ადგილი, თუჯის გამოდნობაში, კი პირველი ადგილი. ამგვარად, სოციალიზმის ქვეყანა მრეწველობის მთელ რიგ დარგებში დაეწია და გაუსწრო ტექნიკურ ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს და გამოვიდა მსოფლიოში პირველ ადგილზე.

პარტიამ წარმატებით გადაჭრა ოქტომბრის რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — სოფლად ურიელ კერძო მესაკუთრეთა კოლექტიურ მიწადმოქმედებაზე გადაყვანის და კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების განვითარებისა და განმტკიცების ამოცანა. მშრომელ გლეხთა მილიონიანი მასები, რომელებმაც საბოლოოდ იბრძნეს პირი „კომუნისპენ“, პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ანხორციელებენ საკოლმეურნეო წყობილებას, რომელიც საბჭოთა მასალებიდან, საბჭოთა ქარხნებში ამზადებს ყველა და ყოველგვარ მოწყობილობას და მანქანებს, დაწყებული ბლიუმინგით და ელექტრომაგნეტური მოწყობილობით და ულტრის ხიდით დამთავრებული.

პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე მოპოებულია უდიდესი მიღწევები. შეიქმნა „სოციალიზმის მატერიალური საფუძველი“ (ლენინი) —საბჭოთა მანქანათმშენებლობა. 1928 წელს მრეწველობის ამ დარგმა გამოუშვა 1.382 მილიონი მანეთის პროდუქცია; მომდინარე წელს კი უშვებს 6 მილიარდ 800 მილიონი მანეთის პროდუქციას. წარმოების დონის მიხედვით საბჭოთა მანქანათმშენებლობა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. იგი შეადგენს მძლავრი სატრაქტორო და საავტომობილო მრეწველობა. საკოლმეურნეო სოფლემა საბჭოთა სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნებიდან მიიღო 150 ათასზე მეტი ტრაქტორი და ავტომობილი. 1931 წელს საბჭოთა სატრაქტორო ქარხნებმა დაამზადეს 14.250 ტრაქტორი, 1933 წლის მარტში ათ თვეში კი დამზადებულია 62.070 ტრაქტორი. რაც შეეხება ავტომობილს, 20 ათასის

ფ. მახარაძე

მეთექვსმეტე წლის თავზე (1917—1933)

„იმპერიალიზმის უღლისაგან ხალხთა განთავისუფლება, მუშების და მუშა-ქალების განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან შეუჩერებლად მიდის წინ. ეს საქმე წაიყვანეს წინ მუშების და მუშა-ქალების, გლეხების, და გლეხ-ქალების ათეულ და ასეულ მილიონებმა და ამიტომ ეს საქმე შრომის თავისუფლებისა კაპიტალის უღლისაგან, გამარჯვებს მთელ დედამიწაზე“.

ეს სთქვა ლენინმა 1921 წელს ოქტომბრის რევოლუციის შესახებ, რომელმაც ამ 16 წლის წინად შეაძრწია მთელი ქვეყნიერება და მას შემდეგ მისი მნიშვნელობა და ისიც გველინა თანდათან ღრმავდება, ფართოვდება და იზრდება.

ოქტომბრის რევოლუცია იდეურად და ორგანიზაციულად მოამზადა და ჩაატარა მარქსისტულ-რევოლუციონერების — ბოლშევიკების პარტიამ ლენინის და სტალინის მეთაურობით.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება უზარველყო მუშურ-გლეხურ ხალხის აქტიურმა მონაწილეობამ, იმით შეუდარებელებმა ნებისყოფამ, მეორე მხრით მუშურ - გლეხური მასების ორგანიზაცია იმათი დაინტერესება რევოლუციის გამარჯვებაში და აქედან ამ მასების აქტიური მონაწილეობა რევოლუციაში,—აი ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც უზრუნველყო შემდგომში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურ ფრონტზე. როცა ახლა აგვლებთ თვალს წარსული ბრძოლას, თქვენ უყურებთ ბრძოლას, თქვენ უყურებთ მასების აქტიურ მონაწილეობას ამ ბრძოლაში, იმათ გამოუთქმელ და არნახულ ალფრთოვანებას და ენთუზიაზმს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვის და შენარჩუნების საქმეში. მაგრამ მასების ეს დარაზმვა, იმათი ნების ბრძოლაში, იმათი აღფრთოვანება და ენთუზიაზმი, — ყოველივე ეს თავის თავად არ ხდებოდა და არც შეიძლება მომხდარიყო. საჭირო იყო ამის მომზადება, საჭირო იყო მასების გაწვრთნა თვით ბრძოლის პროცესში, იმათი აღზრდა პოლიტიკურად, იმათი გათვითცნობიერება ცოცხალ მაგალითების საშუალებით; იმავე დროს საჭირო იყო არა წუწუნი და ხასოწარკვეთილება რა უდიდეს სიძნელეების და დაბრკოლებების წინაშე, რომლებიც მუშათა კლასს ელობებოდენ წინ, არამედ იმათი დაძლევა და გადალახვა.

ამის უნარი ჰქონდა მხოლოდ ლენინის პარტიას თვით ლენინის და შემდეგ საუკეთესო ლენინელის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით. ამათ შექმნეს და გამოსჭედეს ბოლშევიზმის ფოლადისებური დისციპლინა, ბოლშევიკური შეუპოვრობა, ბოლშევიკური ნებისყოფა, რითაც აღჭურვენ და შეიარაღებენ მუშურ-გლეხური მასები. ამ ნიადაგზე წარმოიშვა და სწრაფი ტემპით განვითარდა მასების თვითმოქმედება, თაოსნობა და შემოქმედება. მასები ბრძოლის დროს იჩენენ უდიდეს ინიციატივას, ქმნიდენ სხვადასხვა საშუალებებს, როგორც კლასიური მტრების დასამარცხებლად, ისე ეკონომიურ ფრონტზე გასამარჯვებლად. ეი ყოველივე ამაში უნდა ვეძიოთ ოქტომბრის რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვების და საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს წარმატებათა მიზეზები.

ამ მიზეზებმა უზრუნველყვეს საბჭოთა ბრწყინვალე გამარჯვება უდიდეს სამოქალაქო ომში, დაძლევა შიმშილის, სიღატაკის, ჩამორჩენილობის, ეკონომიური განადგურების; შემდეგ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღდგენა და მისი რეკონსტრუქცია უმაღლეს ტექნიკურ საფუძველზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერც მშრომელ მასების აღფრთოვანება და ენთუზიაზმი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ომს ავდით 200 ინფენერმა და რომლის განხორციელება ნავარაუდევი იყო 10 წლის განმავლობაში.

პირველი მთლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას, შემუშავებულ იქნა შედარებით ხანმოკლე ვადაში, ე. წ. „ხუთწლედი“. ეს შეიცავს სრულიად ახალ ხანას კოლმეურნეობრივ მოძრაობაში. ამს. სტალინის მიერ მოცემული ლოზუნგი კოლმეურნეობების შესახებ უკვე ხორციელდება, პარტია და ხელისუფლება საქმით ეხმარება კოლმეურნეობებს შეძლებული ცხოვრების მოპოვებაში, ამ მხრით უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კომენისტური პარტიის ცენტრალ და სახკომსაბჭოს ამა წლის 15 აგვისტოს დადგენილებას **უძროხო კოლმეურნეებისათვის დახმარების აღმოჩენის საჩქარო ზომების შესახებ.** ამ დადგენილებით ყველაზე უფრო საყურადღებო კოლმეურნეობების ცხოვრებაში დღეს ის არის, რომ იმათი ორგანიზაცია მაგრდება, შრომის დისციპლინა მტკიცდება და კოლმეურნეობები იწმინდებიან უცხო, მტრულ ელემენტებისაგან, — ყოველივე ამის შედეგი ის არის, რომ **შემოსავლიანობის მხრით** კოლმეურნეობაში უკვე მიდწეულია 1933 წლის განმავლობაში მოხდა **შესამჩნევი** ნაბიჯი წინ და დავეხმაროთ ყველა კოლ. მეურნეებს, ყოფილ ღარიბებს, და ყოფ. საშუალოებს. **აიწიონ შეძლებულთა დონემდე“.**

კოლმეურნეთა მასებს მტკიცედ მიდიან შეძლებული ცხოვრებისაკენ

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

საქართველოს სოფლის მეურნეობა ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავზე

ნ. ჯუღაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობა სალი ეკონომიური განვითარების და ტექნიკური პროგრესის გზას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაადგა. საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალისტური მრეწველობის განვითარების საფუძველზე უდიდეს შედეგებს მიაღწია სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ქვემოდ მოყვანილი ციფრები.

საქართველოში, რომელიც მონარქისტულ - კოლონიალურ რეჟიმის პირობებს წარმოადგენდა და რომელიც შემდეგ იმპერიალისტურმა ომმა და მენშევიკებმა გააპარტახეს, დღეს მოწყობილია 3.481 კოლმეურნეობა, რომელშიც გაერთიანებულია ღარიბ - საშუალო გლეხთა 40 პროცენტი, ხოლო მთელ რიგ რაიონებში გატარებულია მთლიანი კოლექტივიზაცია. შექმნილია 257 საბჭოთა მეურნეობა 290 ათასი ჰექტარი ფართობით, მათ შორის 18 ჩაის, 19 ციტრუსების, 114 მევენახეობა-მეხილეობის, 40 მეცხოველეობის.

საქართველოში მოწყობილია 27 სამანქანო - სატრაქტორო სადგური, რომელიც უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციის საქმეში. სამანქანო სატრაქტორო სადგურები მომსახურებას უწევენ საკოლმეურნეო ნათესების ერთ მესამედზე მეტს, მათ განუზომელად გაადიდეს თავიანთი როლი კოლმეურნეობათა ორგანიზაციული - სამეურნეო განმტკიცების საქმეში, ხოლო სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებების მოწყობის შემდეგ ისინი გადაიქცენ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ პოლიტიკურ ცენტრად სოფელში.

თუ პირველი ხუთწლედის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებულ მანქანა იარღების ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან როლზე ლაპარაკიც არ ღირდა, დღეს საქ. სოფლის მეურნეობაში მუშაობს 1300-ზე მეტი ტრაქტორი 22 ათასზე მეტი ცხენის ძალით, 48 კომბაინი და სხვა; ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ უკვე გუთნებაზე, (60 ათასამდე ცალი), რომელმაც მთლიანად შეცვალა მამაპაპური კავი და სხვა მრავალ მანქანა-იარაღებზე. როგორიცაა რკინის ფარცხი (23 ათასი), კულტივატორი (16 ათასი), ტრიერი და სხვა. და ეს ყველაფერი იმ დროს, როცა სულ ახლო წარსულში საქართველოს გლეხური მეურნეობის ნახევარზე მეტი მოკლებული იყო მუშა-საქონელს და სას.-სამ. იარაღებს და სოფლის მეურნეობაში გაბატონებული იყო კავი და ნამგალი.

საქართველოს სოფლის მეურნეობამ მარტო პირველ ხუთწლედში მიიღო 15 მილიონ მანეთამდე ღირებულების სხვადასხვა სას.-სამეურნეო მანქანა - იარაღები. ამრიგად, თუ პირველი ხუთწლედის დასაწყისში სხვადასხვა იარაღ-მანქანების სახით დაბანდება 1 ჰექტარზე უდრიდა 4 მანეთზე ნაკლებს, დღეისათვის მოდის დაახლოებით ოც მანეთამდე.

საქ. პარტორგანიზაციებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე საირიგაციო მშენებლობის საქმეშიც. ალაზნის ველზე გაყვანილია არხი 92 კილომეტრის მანძილზე, რომელიც უკვე რწყავს 29 ათას ჰექტარ მიწას, ხოლო დამთავრების შემდეგ მორწყავს 44 ათას ჰექტარს. გაყვანილია ავრეთვე ტირიფონის ველზე 52 კილომეტრის სიგრძის არხი, რომელიც 26 ათას ჰექტარ ფართობს რწყავს, სამგორის ველის მორწყვა, ქობულეთის ჭაობების ამოშრობა, ბორჩალოს სარწყავ სისტემის რეკონსტრუქცია და სხვა, ფარ თოდაა გაშლილი მუშაობა უდიდესი პრობლემის კოლხიდის ჭაობების ამოსაშრობად, რომელიც 215 ათას ჰექტარ ვარგის მიწას მოგვცემს და სხვა. სულ წყალთა მეურნეობის ხაზით პირველ ხუთწლედში დაბანდებულია 30 მილიონ მანეთამდე.

ახლად შექმნილია სოციალისტური მეცხოველეობა. მეცხოველეობის 40 საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობათა 503 მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში (მერძეობის 308, მეცხვარეობის 20, მეცხვარეობის 163, მეღორეობის 120, მეკურდღლეობის 10 და სხვა) საგარეუბნო მეურნეობათა ჩაუთვლელად თავმოყრილია დაახლოებით 4500 ცხენი 43 ათასი მსხვილ ფეხა რქოსანი საქონელი, 280 ათასი ცხვარი, 30 ათასი ღორი და სხვა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ და მისმა ტექნიკურმა შეიარაღებამ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის საწარმო ძალთა არაჩვეულებრივი სისწრაფით ზრდა. ეს ზრდა პირველყოვლისა ნათესი ფართობის გადიდებაში გამოიხატება. სულ ნათესი ფართობი იყო საქართველოში 1913 წ. 738 ათასი ჰექტ. 1917 წ. 498 ათასი, 1920 წელში 480 ათასამდე დაეცა, ხოლო 1933 წლის ნათესი ფართობი 944 ათას ჰექტარს უდრის ე. ი. ნათესი ფართობი გაიზარდა ერთი მესამედით ომის წინა დროსთან შედარებით და ორჯერ მეტად ვიდრე მენშევიკების დროს.

ყველა ტექნიკურ კულტურების ნათესის ფართობი უდრიდა 1913 წელში 20,6 ათას ჰექტარს, 1920 წელში იგი 1,5 ათას ჰექტარში დაეცა, ხოლო 1933 წელში კი შეადგენს 51 ათას ჰექტარს ე. ი. ორნახევარჯერ მეტს ვიდრე ომის წინა დროს, ხოლო მენშევიკების დროსთან არავითარი შედარებაც არ შეიძლება.

1913 წელში ტექნიკურ კულტურების ხვედრითი წონა შეადგენდა 2,7 პროცენტს, ხოლო 1933 წელში 5,4 პროცენტს, ტექნიკურ კულტურებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ბამბას, რომლის ნათესი უდრიდა 1933 წ. 8,2 ათ. ჰექტარს, 1920 წელში არც ერთი ჰექტარი არ დათესილა, ხოლო 1933 წელში კი 18,5 ათასი ჰექტარი გვაქვს; თამბაქო 1913 წ. 10,4 ათასი ჰექტ. 1920 წ. 1,5 ათასი ჰექტ. ხოლო 1933 წელში 18,5 ათასს; შაქრის ჭარხალი, რომელიც წინად სრულებით არ ითესებოდა 1933 წელში გვეთესა 4,3 ათასი ჰექტარი, რომელიც ნედლი მასალით ამარაგებს აგარის შაქრის ქარხანას და სხვა.

ჩაის ფართობი 1913 და 1917 წ. ათას ჰექტარს ძლივს აღწევდა, როცა ჩვენ ამ ოთახში ვსხედავთ, შეძენილია კოლექტივის წყალობით.

ჭერზე ჩამოკიდებულ ლამფის გარდა, ამ ოჯახში ყველაფერი ახალია.

ახალია თვითონ გიორგიც. სხვების უანებში გაცვეთილი მისი ორმოცდახსამი წელი დღეს ახალი ჭარმაგობით გაესებულა. უდროოთ დანაჭედებული პირსახე შრჭაგან ჩასხივრულს მოუსუფთავებია.

— კოლექტივი რომ არ შემოსულიყო, ახლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. სადმე ჩამაძაღლებდა აუტანელი შრომა და გაჭივრება. კოლექტივმა მიხსნა, —ლაპარაკობს გიორგი და უღიმის ცოლს, რომელიც მოწიწებით დასჩერებია ჩემს ფანქარს. იგი კმაყოფილია, რომ მისმა ქმარმა თავი მიანება „სიგლახეზე“ ლაპარაკს.

გიორგი მაქსიმეს-ძე კაკაბაძე მრუდე აღმავალით მივიდა იმის შეგნებადე, რომ ღარიბების ხსნა ერთად, მოწესრიგებულ შრომაში იყო. მისი ყოყმანი და იქვეანობა მანქანამ დასძლია; ტრაქტორს არ შეეძლო არ მოეხიბლა გლეხის გული, მეტადრე ისეთი გლეხის, რომელიც საც მრავალჯერ გამოეცადა მარტოხელა კაცის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში.

შარშან ცუდი მოსავალი იყო; შრომის საკითხების მოუგვარებლობამ კოლექტივში დისკვალიფა ისე დასკა, რომ სიმინდი ჩატაროებული იყო, როცა პირველად გათოხნეს. გიორგის ექვსი კოლო შეხვდა შრომა - დღეზე. მოუხერხებათ ამისა, მოღებულმა მოსავალმა გიორგის იმდენათ მოუტანა ხელი, რომ შარშან ოცდახუთი ფუთი სიმინდი გაყიდა. სიმინდის გაყიდვა პირველად იყო გიორგის ცხოვრებაში. წინად იგი მუდამ მყიდველი იყო.

წლევანდელმა წელმა კი ლატაკი გლეხი გიორგი კაკაბაძე შეძლებულ კოლმეურნეთ გადააქცია და ამ წლის მსუქან რთველმა არა მარტო კოლმეურნეთა შეგნებაზე მოახდინა უდიდესი გავლენა, არამედ, გიორგის თქმის არ იყოს, კერძო გლეხებიც დაფეთებული მორეკა კოლექტივის კარებთან. წლევანდელმა მოსავალმა ყველაზე ურწმუნო თომებსაც კი დააწერია განცხადება კოლექტივში მისაღებათ.

წლევანდელი მოსავალი ხონის რაიონში ბუნებრივი შედეგი იყო იმ გემოიან ღონისძიებებისა, რომელიც თვისის მოსამზადებლათ იყო ჩატარებული.

მიწდი ავლაბრის ერთ-ერთი შესანიშნავი ღონისძიება, რომლის თანმხლები ხონის რაიპარტკომს ეკუთვნის.

მთელს იმერეთში აღმავალად არის ისე მწვავედ საგრძნობი მიწის სიმცირე, როგორც ხონის რაიონში. თითეულ კოლმეურნეზე საშუალოდ ორნახევარი, სამი ჰექტარ საყანე მოდის.

ბევრიც რომ ეცადონ, კოლექტივები განზე ვერ გაიწევიან, ახალ ფართობებს ვერ შეიმატებენ, ვინაიდან ის ეწერება და ჯაგანარები, რომლებიც ოდესლაც გამოუყენებელი იყო, ახლა დიდიხანია გარეხილია და ათვისებული.

მიწის სიმცირის დასაძლევათ საჭირო იყო პირმოთნე არისებული ფართობებში ნაყოფიერების გასაღიდებლად. რაიონს არ ჰქონდა საშუალება ხელოვნური სასუქი საკმათ რაოდენობით შემოეტანა. ამიტომ წამოაჭარა საკითხი ბუნებრივი სასუქის გამოყენების შესახებ, რომელსაც ყოველწლიურად ნამქერის დროს, უხვად აძლევდა გაფი ცხენისწყალი.

ადგილობრივმა გლეხებმა ჯერ კიდევ დიდხანს წინად იცოდენ, რომ სვანეთის მთებიდან ჩამოტანილი, მარილებით მდიდარი ცხენისწყლის შლამი მისწრება იყო ნაადგისათვის.

ვისაც საამისო საშუალება ჰქონდა, ისინი სისტემატიურად აწორმებდენ ნაადგის მოშლამვას.

ბოლო წლებში მოშლამვის პრაქტიკა მივიწყებული იყო. ბობოლებმა ჯორი მოთესეს, მოშლამულ ნაადგს კოლექტივები წაეღებენო. შარშან, ნოემბერში, რაიკომმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა ნაადგის მოშლამვის შესახებ. ახალი სოფლის ენტუზიასტები არ შეუშინდენ სიცივეს და მუხლამდე წყალში დღომას, რომ ეს უდიდესი საქმე გაენორციელებინათ. ძველი არხები გასწმინდეს, სამოცი კილომეტრის მანძილზე ახალი მთავარი არხი გასჭრეს და წნელის ჯებირებით გაღობეს. წყალმა აიწია და ნაადრევად მოხნული რამდენიმე ასეული ფართობი წყალქვეშ მოექცა.

ამას გარდა, კოლმეურნეობებმა, ამოიღეს სამლამო ორმოები, რამდენიმე ათასი კუბომეტრის ტევადობით. ამ ფართობებს, რომელსაც არხი არ უდგებოდა, ამ ორმოებში დაგროვილ შლამით ანოყიერებდენ. ორმოებიდან მრავალი ათეული ათასი შლამი გაიტანეს მინდვრებზე. ამ ღონისძიებების შედეგათ წელს მოსავალი 48 პროც. გაიზარდა.

ცალკე კოლექტივებში, მაგ. პატარა კუხში, რომლის წევრია გიორგი კაკაბაძე, მოსავლის ეფექტიანობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შარშანდელთან შედარებით, მოსავალი 150 პროც. გადიდდა.

პატარა კუხის კოლმეურნეობამ, რომელსაც ბლომად ყავდა გიორგი სთანა ენტუზიასტები, წყალი ორი მეტრის სიმაღლეზე ამოიყვანა და ორი კილომეტრი არხი გასჭრა.

კარგათ მოშლამულმა ნიადაგმა სიმინდი გადიყვა. კაი მაჯის სისხლ ტარები დაუმწიფა.

წელს გიორგი კაკაბაძემ შრომადღეზე 18 კილო მარცვლეული მიიღო, 18 კილო! ფუთი და ათი გირვანქა!

ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ არ უნდოდა ქეთოს წარსულზე ლაპარაკი.

რაღა დროს წარსულის გახსენებაა, როცა ახლა ქეთოს იმდენი სიმინდი მოუდის, რომ აღარც კი იცის, სად დაატიოს.

გიორგის ოჯახი კერძო ბაზარზე თითქმის არაფერს ყიდულობს პატარა კუხის კოლექტივში კარგახანია ჩამოეთესლა ისეთი კულტურა, რომელიც გიორგის საკმათ აძლევს პურს, შაქარს, ფართალს. ეს არის ჩაი, რომელსაც გიორგი სიმინდზე მეტად აფასებს და ენდობა.

— წინეებზე იმდენი ზეთი მიგდღე, რომ ვერც კი მოვიხმარეთ! — მეუბნება გიორგი და იღიმება იმ ბედნიერი ღიმილით, რომელიც გულჯასუყებულ ადამიანს სჩვევია.

გასულ პარასკევს, ხონში გიორგიმ სიმინდი გაყიდა. (ახლა მისთვის სიმინდის გაყიდვა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც წიაღი სიმინდის ყიდვა იყო.) საღამოხანს დაბრუნდა. ურემზე ექვსი ახალი ვენის საკმე ეწყო. არც მეტი, არც ნაკლები... მუქი ყავისფერი ვენის საკმები—

— მეტი ფიტაცია რაღა იქნება! კერძო გლეხებმა რომ ჩემს ურემზე ეს ახალი საკმები დაინახეს, თვალები კინაღამ გადმოსცვივდათ. მაყურებელით შემაცილეს ეზომდე, ისე, რომ გაგაკეთა შე დაფასებულოო!

ეს კიდევ არაფერი.

ამას წინად გიორგიმ ისეთი რამ ჩაიდინა, რომელიც მეზობლების თვალში „სასწაულს“ უდრიდა;

— ერთ კერძო მოსახლეს ძალიან უჭირდა და სიმინდი ვასესხე. მაქვს, და ვასესხე. რატომ არ ვასესხებდი?!

— ცუდათ დაფარული სიამაყით მითხრა გიორგიმ.

მისთვის ძნელია ამ სიხარულის დამალვა. მას ბელტში, სადაც წინად თავგვების სახრიგინო ტაროც არ მოიძებნებოდა, ახლა იმდენი სიმინდი, რომ სესხით ენდარება მეზობელს.

და დაინახოს ოდესლაც მასწავლ წინ მყოფმა კერძო მეურნემ, თუ რა ხვავი დაადგა მის ოჯახში კოლმეურნეობამ.

და არა მარტო მეზობელს... გიორგი სესხით სახელმწიფოსაც ეხმარება. რამდენიმე თუმნის ობლიგაცია უთმენლად შეიძინა.

წამოსვლისას გიორგის ცოლმა არაყი და ხმელი ხილი გამოგვიტანა. დავლოცეთ.

— გიორგი, ახლა ხომ არ დაიმალები, ღვინოზე რომ მოგიპატიჟოთ?

— ვკითხე და სასმელზე ვანიშნე.

— დავიმალები კი არა...

აღარ დაასრულა. დარცხვენით ჩაიცინა, თითქო ეთაკილებოდა, რცხვენოდა, რომ წინად ისეთი ღარიბი იყო.

კუხი-ხონი.
3 ნოემბერი.

სოციალისტურ მინდვრებზე

1.
აზრო ჩემო
ფრთა შეიხვი,
ნუ იბდები
შინ!
ნუ იბღლები;
გაჰკარ ფრთები,—
წინ, ჭარიშხლით, — .
წინ!

გადაფანტე
ქმუნვის ნისლი,
თავს მოევლე
მთებს!
გულო ჩემო
ნუ გდის სისხლი,
ნუ მიმძიმებ.
ფრთებს!
კალმის ტარო,
სჭირდე ისპრით
კომუნიზმის მტრებს,
თორემ გაგტეხ,
გადაგისვრი,
როგორც ცეცხლში
ჩვრებს!

2.
ჰერი
მერი, ოცნებაო!
გასწი,
გაიჭერი,
დაარხიე
ხმა სიმღერის,—
გადასერე
სერი!
ოცნებაო,
ვარ მსურველი
ფრინველივით
გზარდო
და ბანგები
საკვირველი
რიტრატს
შეუფარდო!
მსურს გულები
შრომის შვილთა
სიყვარულით ვკონო
და ქარცეცხლში
გამოვლილთა
ვაშა გავაგონო!

3.
მაშ, ოცნებავ,
ფრთა გაშალე!
გასწი,
გაიჭერი!
გადაჰკოცნე
მთებს და ჰალეებს,
ჰერი,
მზე სიმღერით!
ჰერი!
წრე მოვავლოთ
შავი ზღვის ნაპირებს!
პოეზიით
მოვესალმოთ
პლანტაციის გმირებს
მოვესალმოთ
გულსილაღით
ჩაის რაიონებს,
სუბტროპიკულ
ბაღჩა-ბაღებს,
ოქროსფერ ლიმონებს!
არომატის
სურნელებით
გაეცინთლა
მიწა,
სადაც უწინ
მონურ ძვლებით
ბევრი მუშა მიწვა!
დღეს
ეს მიწა,
დაუპყრიათ
შრომის კოლექტივებს,
სადაც სისხლი
ჩაუღვრიათ,
სადაც მზე ლივლივებს!

4.
ჰა:
გურია,
სამეგრელო!
ჰა:
აჭარისტანი!
აფხაზეთი,
ზღვა და მდელო,
ნაზ პალმების
ტანი!
ამოთხეულ
ძმურ წალკოტში
უხვობს მანდარინი
და ყოველ ხის
ყოველ ტოტში
ღვივ-ს
ქარვის ზვინი!

5.
და იქაც კი
სადაც წინათ
ეგდო მიწა
უდაბურად,—
ტრაქტორების
რაზმი გრგვინავს,
გარჯაშია
ყველა ძმურად!
აგერ ქალი,
აჭარელი,
მონა-მხევალს
როდილა მგავს;
ამაყი და
მხნე დამკვრელი
დატრიალებს
ჩაის ნერგავს!
პოეზიით
მეცადინობს,
საქმიანობს,
დროს არ ჰკარგავს;
ზარმაცი რომ
შეარცხვინოს,—
ამხელს,
არქმევს
„ცოცხალ-ნაგავს.
და ეს ქალი
მამაკაცებს
მხნედ უდგია
ყველგან მხარში;
მოსი მკვა და
სიმამაცე
ნაქებია
აქ, ამ ჯარში!
სხვა ქალებიც
მოჰფენიან
„საქართველოს
ჩაის“ ბაღებს;
კალათებში
ფოთლებს ჰყრიან,
ფოთლებს მწვანეს,
ნორჩს და ხალებს!

6.
ჰა:
ზღვის თვალი,
ზღვის ზურმუხტი,
მზის ნაჭარგი
აფხაზეთი!
ვით ყვავილთა
ნოხ-ფარდაგი,
ისე ჰყვავიხ
ეს ხმელეთი!
რა გინდათ რომ
აქ არ იყოს,
რა ხალი გსურთ,
ან რა ზეთი!
თამბაქო ხომ
აბრეშუმს მგავს,
განთქმულია
მხოფლიოში;
ხურონელება
ისეთი აქვს,
დაითვრებით
მხი ყნოსვით!

7.
გურიამაც
მიმყო ხელი
კულტურების
გაშენებას;
ლაღ ბარაქით
მოსილ ველზე
ალარ დარჩა
დაუხვნელი
მიწის გული
მასზე ნებას!
მალე თავადც
ისახელა:
მანდარინით,
ჩაით,
თხილით;
კოლექტივში
იბრძვის ყველა
კოლექტიურ
მოძახილით!
შეძლებული
ხდება ხალხი
უძვირფასეს
უხვი ხილით!

8.
აჭა, ეხეც
სამეგრელო,
სადაც თესდენ
ღომს და ყანას
ციტრუსებით
დაიკულა,
ეგებება
ახალ ხანას
და კულტურულ
გზას მიჰყვება
გზა გახსნილი
ეს ქვეყანა!
გავამრავლოთ
სხვა კულტურაც:
გერანი თუ
ბამბა,
რამი;
ვანოყიეროთ
ვაზი ძმურად,
ვანებივროთ
მზით და ნამით!

9.
გზა:
ფორთოხალს,
მანდარინს,
ლიმონს,
ჩაის,
ანანასს,—
რომ დღიური
მოხმარების
საგნად გახდეს
მშრომელ მასის!

10.
შენც,
საბჭოთა ხორბლეთელო
ახვავდე და
დასხვილმარცვლიო,
რომ ეკმაყოფილოთ
ვეებერთელა
დიდ მოსავალს
მალალ განცდით!

ტექნიკური კულტურები



ჯონსტანტინე ჯორთქიფანიძე

ფუთი ჭათი ბირჭანია

რა წამს გიორგიმ ხვნა დაწყო, მასთვის აშკარა გახდა, რომ ხარები უწინამძღოლოდ კვალს არ გაიტანდენ.

მოუჩვეველი, გაუხელნავი საქონელი წარამარა უხვევდა, კვალიდან გადიოდა.

მეგუთნის შეძახილზე ისინი აქეთ-იქით აწყდებოდენ და სახნისს მიწიდან აგდებდენ.

გიორგიმ არ იცოდა, რომ ეს ხარები ასეთი ფეთიანები იყვნენ, არ იცოდა, ვინაიდან ეს ხარგუთანი სხვისი იყო.

სხვისი იყო მიწაც.

გიორგის იყო „მხოლოდ“ შრომა და მცირე მესამედი მოსავლიდან.

მეგუთნემ ერთხელ კიდევ შეუტია თავენება ხარებს და რაკი დარწმუნდა, არაფერი გამოდიოდა, გუთანი დააყენა და მოზიარეს თხოვა, მცირეხნით ხარებს გაძღოლოდა.

მოზიარემ იმისთანა თვალებით გადმოხედა, რომ გიორგიმ პასუხსაც აღარ მოუცადა, უკანვე გამობრუნდა.

აჭა-ოჭ ახიჩრებილ მიწას უნუგეშო თვალი მიავლო და წითური სახე ფიქრებმა გადაუხნა.

რაღა ისეთ „მოზიარეს“ გადაეკიდა, რომელსაც აჯე გადარეულნი ხარები ყავს? სად იშოვის გამძღოლ-ა?!

უცებ გიორგიმ რაღაც გადასწყვიტა და ჩქარი ნაბიჯით შინისკენ წავიდა.

ეზოსთან მიახლოვებისას ნაბიჯი შეანელა.

რა გულით უთხრას, რა გულით!?

ეზოში, სადაც მხოლოდ ერთი წაფერდილი სასიმინდე და ორი უდღეური ხე იდგა, გიორგის ცოლ-, შვილიანი ქეთო ბავშის აკვანთან ფუსფუსებდა.

ქმარმა რაღაც უთხრა და მტკუანნივით გაუღიმა.

წამით მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე ცოლმა აკვანში ჩაწვენილ ბავშს არტახები შეუშვა, ამოყვანა, რაღაც კონკლებში შეახვია და მორჩილად აედევნა ქმარს.

მცირეხის შემდეგ შორიახლოთ მომუშავე გლეხები ხედავდენ: გიორგის ცოლი ხარებს მიუძღვებოდა. ცალ ხელში დიდი ხნის ტარები ჰქონდა, ტყავასავით დამძიმებული ბავში ეჭირა, ცალით კი ბაწარს ეჭაჭანებოდა.

შეუპოვარი ხარები ბანდისაგან ისე ძლიერად გაჭენებენ თავებს, რომ ბავშით შევიწროებულ დედას ცოტაღა აკლდა, — ბელტებში დაცემულიყო.

გაბინძურებულ შვილს მოწუენილი ხმით ამშვიდებს. ორიოდ მკლავი მოწყვეტილზე აქვს. დაღლილობისგან ფეხი ეშლება... და მაინც მიუძღვება, მაინც, ვინაიდან მიწა სხვისია, ხარებიც სხვისია...

მათია მხოლოდ დიდი შრომა და, მცირე მესამედი.

შუადღით მოზიარემ სადილათ დაუძახა გიორგის.

გიორგი წავიდა.

ცოლი ერთხანს გუთანთან იცუდა, იქნება მეც დამეხმარონო, მაგრამ მოზიარის ოჯახში ქეთო არავის გახსენებია, თუმცა ყველა ხედავდა, თუ როგორი ჰაპან - წყვეტით ეხმარებოდა იგი თავის ქმარს.

ცოლ-სთვის „ხარჯის“ მიცემა პირობაში არ იყო დათქმული.

როცა გიორგი ამ ძველ ამბავს მოგვითხრობდა, მისი რბილი და უფერული პირსახე თანდათან იცვლებოდა, ავდებოდა. კეთილსა და ალერსიან თვალებს სამკაცრე ულესავდა მის ხმაში ღრენა ისმოდა.

— კაი, კაცო, ყველაფერი კი არ უნდა გაიხსენო! — შენიშნა ცოლმა, რომელსაც ეტყობოდა, უკვე დავიწყებოდა მძიმე წარსული და ღიმილს გვაწაბებდა სახეში.

*

შუადღის პაპანება. ჭრიჭინები გულისამომწყვლელად ჭახჭახებენ. ხნულებით გადაშავებულ მინდვრებზე გამოხსნილი გუთნები მოსჩანს. დასცხუნა საქონელი მოწყენილად აცოხნება სტეპების ჩრდილში.

მეგუთნეები სადილათ სხდებიან.

— გიორგი, სადა ხარ, მოდი კაცო, ერთი ჭიქა დაგვცალე! — პატიჟობენ გიორგის, რომელიც აქვე ცოლის მოტანილ კალათში ფათურობს.

ღვინის დანახვაზე გიორგის საღერღელი ეშლება.

ერთი-ორი ჭიქა მღვრია სვირული დედის რძესავით შეერგება ოფლად გახეთქილ მუშა კაცს, მაგრამ მოწყდებულ ჭიქის ჩამორთმევის მაგივრად, გიორგი რიყისკენ მიდის, იმალება.

... ბრქვენოდა. ყოველთვის ისინი მპატიჟებდენ. მე კი სამაგიეროს გადახდის საშუალება არა მქონდა ამხელა კაცი ვყავი, მოსახლე მეთქვა და, ჭიქა ღვინის მიწოდება არ შემეძლო მათთვის!—დარცხვენილად ამიხსნა გიორგიმ.

უცებ, დაწყებულ ამბავს თავი მიანება და თავის ვენახზე გადავიდა, რომელიც მას კოლექტივში შესვლის შემდეგ გაუშენებია, მაგრამ უმალვე შეეპარენ და ისევ წარსულში დავაბრუნე.

ქეთოს მოუსვენრობა ეტყობა.

არ მოსწონს, რომ მის ქმარს სულ მათი ოჯახის „სიგლახეზე“ და სიღარიბეზე ვალაპარაკებთ.

... ერთი ახალზედაც გვათქმევინეთ რამე!—ლაპარაკობს მისი მოსაყვედურე თვალები.

გიორგის ახსოვს გათეთრებული ბაბუა, მუდამ მოფუსფუსე და ჩაკოხილი მამა, მაგრამ არ ახსოვს, რომ მათ ოჯახს ოდესმე საკუთარი სახნავ - სათესი მიწა ჰქონოდა.

გიორგი შთამომავლობით უმიწაწყლო იყო.

გიორგის მოთხრობაში არაფერი ამის მსგავსიც არ ანათებდა. მისი ცხოვრება თავიდან ბოლომდე ისეთივე შავი და მძიმე იყო, როგორც ის ბელტები, რომელსაც იგი სხვის მიწებში აბრუნებდა.

*

გიორგი ათეული წლებია ამ სოფელში ცხოვრობს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ დასახლდა.

ერკახე ეზოში, სადაც წინად ორი უდღეური ხე და ერთი წაფერდილი სასიმინდე იდგა, ახლა ამაყად წამოჯიმულა მაღალი, ორ ოთახიანი და ფართე აივნიანი შენობა ერთი ოთახი დაუმთავრებელია იატაკის დაგება აკლია.

კოლმეურნეობაში შესვლამდე გიორგის ერთი ჩამოსაკიდებელი შუშის აბაჟურიანი დიდი ლამფა ჰქონდა.

— დისგან წამოგიღეთ ბატონო!—ისეთი შეშინებული ქალოთი მითხრა ქეთომ, თითქო სხვა გზით ყოვლად შეუძლებელი და გაუმართლებელი იყო მათ ოჯახში ამისთანა ძვირფასი ნივთის არსებობა.

ეს ლამფა გამოუყენებელი იყო დიდიხანს განმავლობაში.

სასიმინდეს ქვეშ მისი დაკიდება არ ხერხდებოდა, არც შეეფერებოდა.

უკეთესი ბინა კი გიორგის მხოლოდ ოცნებაში და სიზმრებში ჰქონდა.

და აი, კოლექტივში სამი მოსავლის მოწევის შემდეგ, შრომის მოყვარე და გულმოდგინე გიორგიმ ისეთი სახლი აიშენა, სადაც ამ ლამფის დაკიდება შეიძლებოდა.

განა მარტო სახლი?

აი, ეს მრგვალი მაგიდა, რომელზედაც თეთრი, სუფრა ქათქათებს. ის დაბალი კარადა, რომელიც სავსეა ჭურჭლეულობით, სახეებით ნაქსოვი ფარდები, — ყველაფერი, რაც ჩვენ ამ ოთახში ვხედავთ, შეძენილია კოლექტივის წყალობით.

ჭერზე ჩამოკიდებულ ლამფის გარდა, ამ ოჯახში ყველაფერი ახალია.

ახალია თვითონ გიორგიც. სხვების უანებში გაცვეთილი მისი ორმოცდახსამი წელი დღეს ახალი ჭარმაგობით გაესებულა. უდროოთ დანაჭედებული პირსახე შრჭაგან ჩასხივრულს მოუსუფთავებია.

— კოლექტივი რომ არ შემოსულიყო, ახლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. სადმე ჩამაძაღლებდა აუტანელი შრომა და გაჭივრება. კოლექტივმა მიხსნა, —ლაპარაკობს გიორგი და უღიმის ცოლს, რომელიც მოწიწებით დასჩერებია ჩემს ფანქარს. იგი კმაყოფილია, რომ მისმა ქმარმა თავი მიანება „სიგლახეზე“ ლაპარაკს.

გიორგი მაქსიმეს-ძე კაკაბაძე მრუდე აღმავალით მივიდა იმის შეგნებადე, რომ ღარიბების ხსნა ერთად, მოწესრიგებულ შრომაში იყო. მისი ყოყმანი და იქვეანობა მანქანამ დასძლია; ტრაქტორს არ შეეძლო არ მოეხიბლა გლეხის გული, მეტადრე ისეთი გლეხის, რომელიც საც მრავალჯერ გამოეცადა მარტოხელა კაცის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში.

შარშან ცუდი მოსავალი იყო; შრომის საკითხების მოუგვარებლობამ კოლექტივში დისკვალიფა ისე დასკა, რომ სიმინდი ჩატაროებული იყო, როცა პირველად გათოხნეს. გიორგის ექვსი კოლო შეხვდა შრომა - დღეზე. მოუხერხებათ ამისა, მოღებულმა მოსავალმა გიორგის იმდენათ მოუტანა ხელი, რომ შარშან ოცდახუთი ფუთი სიმინდი გაყიდა. სიმინდის გაყიდვა პირველად იყო გიორგის ცხოვრებაში. წინად იგი მუდამ მყიდველი იყო.

წლევანდელმა წელმა კი ლატაკი გლეხი გიორგი კაკაბაძე შეძლებულ კოლმეურნეთ გადააქცია და ამ წლის მსუქან რთველმა არა მარტო კოლმეურნეთა შეგნებაზე მოახდინა უდიდესი გავლენა, არამედ, გიორგის თქმის არ იყოს, კერძო გლეხებიც დაფეთებული მორეკა კოლექტივის კარებთან. წლევანდელმა მოსავალმა ყველაზე ურწმუნო თომებსაც კი დააწერია განცხადება კოლექტივში მისაღებათ.

წლევანდელი მოსავალი ხონის რაიონში ბუნებრივი შედეგი იყო იმ გემოიან ღონისძიებებისა, რომელიც თვისის მოსამზადებლათ იყო ჩატარებული.

მიწდი ავლაბრის ერთ-ერთი შესანიშნავი ღონისძიება, რომლის თანმხლები ხონის რაიპარტკომს ეკუთვნის.

მთელს იმერეთში აღმავალად არის ისე მწვავედ საგრძნობი მიწის სიმცირე, როგორც ხონის რაიონში. თითეულ კოლმეურნეზე საშუალოდ ორნახევარი, სამი ჰექტარ საყანე მოდის.

ბევრიც რომ ეცადონ, კოლექტივები განზე ვერ გაიწევიან, ახალ ფართობებს ვერ შეიმატებენ, ვინაიდან ის ეწერება და ჯაგანარები, რომლებიც ოდესლაც გამოუყენებელი იყო, ახლა დიდიხანია გარეხილია და ათვისებული.

მიწის სიმცირის დასაძლევათ საჭირო იყო პირმოთნე არისებული ფართობებში ნაყოფიერების გასაღიდებლად. რაიონს არ ჰქონდა საშუალება ხელოვნური სასუქი საკმათ რაოდენობით შემოეტანა. ამიტომ წამოაჭარა საკითხი ბუნებრივი სასუქის გამოყენების შესახებ, რომელსაც ყოველწლიურად ნამქერის დროს, უხვად აძლევდა გაფი ცხენისწყალი.

ადგილობრივმა გლეხებმა ჯერ კიდევ დიდხანს წინად იცოდენ, რომ სვანეთის მთებიდან ჩამოტანილი, მარილებით მდიდარი ცხენისწყლის შლამი მისწრება იყო ნაადგისათვის.

ვისაც საამისო საშუალება ჰქონდა, ისინი სისტემატიურად აწორმებდენ ნაადგის მოშლამვას.

ბოლო წლებში მოშლამვის პრაქტიკა მივიწყებული იყო. ბობოლებმა ჯორი მოთესეს, მოშლამულ ნაადგს კოლექტივები წაეღებენო. შარშან, ნოემბერში, რაიკომმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა ნაადგის მოშლამვის შესახებ. ახალი სოფლის ენტუზიასტები არ შეუშინდენ სიცივეს და მუხლამდე წყალში დღომას, რომ ეს უდიდესი საქმე გაენორციელებინათ. ძველი არხები გასწმინდეს, სამოცი კილომეტრის მანძილზე ახალი მთავარი არხი გასჭრეს და წნელის ჯებირებით გაღობ

ՀՀ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻ ԵՎ ԳՅՈՒՂԱՑԻՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ԺՈՂՈՎԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՄԱՐ

Ա. ՀԱՄԱՍՏՅԱՆԻ

Հանրապետության աշխատավորների և գյուղացիների պատգամավորների ժողովների Խորհրդի նախագահ ընկեր Ա. Համաստյանի զեկուցումը

Ընկերներ, ինձ հանձնարարված է զեկուցել Հայկական ՍՍՀ աշխատավորների և գյուղացիների պատգամավորների ժողովների Խորհրդի գործունեության մասին 1932 թվականի ընթացքում։ Ես կանգ կառնեմ միայն հիմնական հարցերի վրա, որոնք ներկայացնում են մեր հանրապետության տնտեսական և մշակութային շինարարության ամենակարևոր կողմերը։

Ինչպես հայտնի է ընկերներին, 1932 թվականը մեր հանրապետության համար հանդիսացավ ամենադժվարներից մեկը։ Ամբողջ Միության տնտեսական կյանքում տեղի ունեցող ընդհանուր դժվարությունները, որոնք պայմանավորված էին հացահատիկային խնդրի սրմամբ, ամենից ավելի ազդեցին մեր հանրապետության տնտեսության վրա։ Հացահատիկային խնդրի սրման հետևանքով մենք ստիպված եղանք ամբողջ տարվա ընթացքում ամենալարված աշխատանք տանել հացահատիկային պլանի կատարման համար

ჰიყოთ ჭაზაღ შრომისა და თავდაცვისათვის

1 0 წ ე ღ ი

1923 წელს საქართველოს სახალხო კომ საოთა საბჭომ დაადგინა დაარსდეს ნაციონალისტური სასპორტო საზოგადოება „შევარდენი“ და ძიეწყოს ფიზკური კულტურის საბჭოები.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს „შევარდენი“ წარმოადგენდა კონტრ - რევოლუციის აგენტებს იარაღს ახალგაზრდობის რეაქციულ - ნაციონალ სტურ პრინციპებზე აღსაზრდელად თეორგვარდიელ ოფიცერთა კადრებისა და აეშენებინათ. კურიის ორბიის რეზერვის შექმნის მიზნით.

„შევარდენმა“ ვერც ერთი ჯგუფის შექმნა ვერ შეძლო ტფილისის მუშა - ახალგაზრდობისაგან, თუმცა მეშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ ასეთი ჯგუფების შექმნას.

საზოგადოების წევრთა ძირითად კონტიგენტი იყო მოსწავლე ახალგაზრდობა. თავადაზნაურულ წრეებიდან. სათანადო სასწავლებლებს დირექციებს მეშვეობით „შევარდენი“ იზ დავდა თავს ორგან-ზაც-აში ამ ახალგაზრდობას და აქ გამოცდილი ოფიცრების და შოვინ-სტების ხელში წარმოებდა მათი გაწვრთნა. როგორც იდეოლოგიურად, ისე სპორტულად.

სავსებით ბუნებრივია, რომ ლენინურმა კომკავშირმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ოიდანვე გადაჭრით დასვა საკითხი „შევარდენის“, როგორც ანტისაბჭოთა საზოგადოების, როგორც არაპროლეტარულ საზოგადოებაში ოპოზიციის შესახებ. აქ უნდა აღვნიშნოთ ის უდიდესი როლი, რომელიც საქართველოს კომკავშირმა (ცენტრად მისმა მუშაკებმა ალამალიანმა, მდივანმა, პატარაიამ, არუთინოვმა და სხვ.) ითამაშა ფიზკულტურული მოძრაობის საბჭოთა სისტემის დანერგვაში.

ფიზკულტურის საბჭოებს პირველი ნაბიჯები საქართველოში, სპეციალისტთა კადრების უყურადღებოდ, გაუბედავი იყო. მხოლოდ კომკავშირის აქტიური დახმარებით ჩვენ შევძლით შეგვექმნა ახალგაზრდობის ინტრუქტორთა და ორგანიზატორთა ეთი ჯგუფი და შეეუდექით წრეების მოწყობას საწარმოო ნიშნის მიხედვით.

პროფკავშირთა მე-3 ყრილობის ოფიციალურ ცნობების თანახმად მთელი ფიზკულტურული მოძრაობა ეყრდნობოდა 5 წრეს (გემოკვების, კავშირგაბმულობა, საბჭოთა - სავაჭრო დაწესებ. მოსამსახურენი, სახლის მუშათა კავშირი) 600 კაცის შემადგენლობით.

აქედან დაიწყო მუშაობა.

ბუნებრივია, რომ 10 წლის განმავლობაში ფიზკულტურულმა მოძრაობამ გადაიტანა დაუნდობელი ბრძოლა „შევარდენისთვის“ დამახასიათებელ გადახრებს და იმ სპეციალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც სკმაოდ ვერ შეითვისეს პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ძირითადი პოლიტიკური ამოცანები.

1923 წლის დამლევს ჩვენს განკარგულებაში იყო 143 ინსტრუქტორი, მათ შორის პარტიის და კომკავშირის წევრები შეადგენდენ 7 პროც.-ს, მაგრამ მუშაობის პროცესში ეს 143 კაციც ჩამოშორდა ფიზკულტურის საქმეს და დიდი ენერგიის დაუნდობით გვიხდება ახალ კადრების შექმნა კომკავშირელებისა და ძველ სპეციალისტებისაგან.

10 წლის განმავლობაში საქართველოს ფ ზკულტურულ მოძრაობაში ჰქონდა ის ძირითადი დეფექტები, რომლებსაც ვაანჩნევდით მოძმე რესპუბლიკებში.

რაში გამოხატებოდა ეს დეფექტები? პირველ ყოვლისა ეს იყო ფ ზკულტურისთვის პოლიტიკური შინაარსის გამოცლა. ფიქრობდენ, რომ ფ ზკულტურა არის არა პოლიტიკა, არამედ გაჯანსაღება და დასვენება. შემდეგ — მეთოდიკა; სპეციალისტების საქმედ მიაჩნდათ. დამაკმაყოფილებელი ვერ იყო ფიზკულტურის ორგანიზაციების ორგანიზაციული წყობა (არასაწარმოო, პრინციპი).

1929 წელს საკ. კ. პ. (ბ)ც. კ-მა ფ ზკულტურულ ორგანიზაციების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო, მოგვცა დირექტივა მუშაობის მეთოდებისა და ფორმების შესახებ და დასახა მოძრაობის კონკრეტული ამოცანები.

ამ მითითებების საფუძველზე საქართველოს ფ ზკულტურის საბჭოებმა გააჩაღეს ბრძოლა ფ ზკულტურის გარდაქმნისა და მისი იმ მორგ ამოცანებისადმი დამორჩილებისათვის, რომლებიც მუშათა კლასის წინაშე დასმულია როგორც სახალხო მეურნეობის, ისე კულტურის სფეროში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა გააძლიერა ფ ზკულტურული მოძრაობა და უზრუნველყო საქართველოს ორგანიზაციის გეგმაშეწონილი ზრდა. 1929 წელს ჩვენს ორგანიზაციებში გაერთიანებული იყო 15.074 ფიზკულტურელი, 1930-31 წ.წ.ის—20.766 ფიზკ., ხოლო 1931 წლის დამლევს — უკვე 39.766 კაცი.

1931 წელი ყველა ორგანიზაციისთვის გარდატეხის წელი იყო. ნიშნის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ შემოღებამ ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრა მოძრაობის ბუნება და შინაარსი, უზრუნველყო ეთუზიაზმის კიდევ უფრო მეტად გაძლერება ფ ზკულტურელთა რიგებში და საბოლოოდ დაამსხვრია ძირმომძალი თეორიები და უნაყოფო ლაყბობა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მეთოდიკის გარშემო.

გადაჭრა რა მუშაობის ბაზად, ნიშანმა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ მჭიდროდ დარაზმა ყველა ფიზკულტურელი და ამ ნიშნით მიმდინარეობს ორგანიზაციის ბრძოლა შრომისა და თავდაცვისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ფ ზკულტურის ორგანიზაციები ყოველწლიურად გადაჭრებით ასრულებენ საკონტროლო ციფრებს ნიშანზე — „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ და 1933 წელს ჩვენ აღვნიშნავთ საკონტროლო ციფრის (16.000 კაცი) ვადამდე შესრულებით. ამავეარად, ათი წლისთავზე საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია ითვლის 51.000 კაცს, ხოლო საერთოდ ფიზკულტურაში ჩაბმულია 53.483 (დამოუკიდებელი მოძრაობა). მათზე ხელმძღვანელობით საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას შეუძლია გადაჭრას ს. ს. რ. კ ფიზკულტურის საკავშირო საბჭოს მიერ დასმული ახალი ამოცანები.

კადრების დარგში 10 კაცს ნაცვლად (1923 წელს) ჩვენ გვყავს 315 სავსებით მომზადებული ხელმძღვანელი, ოომელთა პარტიული ფენა აღწევს 50 პროც.-ს (154 კაცი).

ფიზკულტურის ახლად დაარსებული ტექნიკუმი — სამეცნიერო - საგამოკვლეო ინსტიტუტი—წარმოადგენს კადრების კვალიფიციური ინსტრუქტორებით შემდგომი განმტკიცების გარანტიას.

ფიზკულტურის საბჭოებისთვის სავითნასო ასიგნობების მხრივ ჩვენ გვაქვს შემდეგი მდგომარეობა: 1924 წელს — 14.000 მანეთი, ხოლო 1933 წელს 840.000 ათასი მანეთი;

არ შეიძლება არ აღინიშნოს ყურეთე პირველი დინამოელის — ამხ. ბერიას მონაწილეობა ფიზკულტურული მოძრაობის განმტკიცებაში.

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს (31—32 წ.) ამხ. ბერიამ პრინციპიალურ სიმაღლემდე აიყვანა ფიზკულტურაში კლასობრივი სტიზნლის საკითხის. მისი დახმარებით ფ ზკულტურის ორგანიზაციებმა უდიდეს შედეგებს მიაღწიეს ფიზკულტურის საბჭოს, როგორც საბელმწიფო ორგანოს, როლის განმტკიცების სფეროში, ისე მშრომელობაში.

დიდ მიღწევებთან ერთად საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს აქვთ მთელი რიგი დეფექტები, რომელნიც უმთავრესად შემდეგში გამოიხატებიან:

ფიზკულტურულ ნაგებობათა მშენებლობა მეტად ცუდ მდგომარეობაშია.

სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აფასებენ ფიზკურ კულტურას, როგორც შრომის ნაყოფიერების ამაღლების მძლავრ იარაღს.

ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობის დროს ხშირად არ ითვალისწინებენ ფიზკულტურული ნაგებობებს და ბევრგან საწარმოებს არა აქვთ თავიანი მოედნები და სახმორო დარბაზები.

უნდა ვიფიქროთ, რომ „დინამოს“ სტადიონის აგება, რომელიც დაიწყო ამხ. ლ. ბერიას აქტიური დახმარებით, დიდ სამსახურს გაუწევს ქ. ტფილისის ფიზკულტურელებს.

მეორე და ძირითადი საკითხია — დისციპლინის საკითხია. დისციპლინა, ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ განმტკიცებული ძირეულ რგოლში. ფიზკულტურელები ხშირად მუშაობაში სანიმუშო წესრიგისა და სიზუსტის ნაცვლად არღვევენ შინაგანი განაწესის ელემენტარულ პირობებს კოლექტივში.

ფიზკულტურულ ორგანიზაციების (ნებაყოფლობითი საზოგადოებანი და სხვ.) ორგანიზაციულ წყობის ახალმა ფორმებმა, რომლებიც წამოაყენა ამხ. ანტიპოვმა, საგრძნობლად უნდა შეუწყოს ხელი დისციპლინის განმტკიცებას და ფიზკულტურული ორგანიზაციები უნდა გადააქცეს შრომისა და თავდაცვისათვის მზადმყოფ მძლავრ რაზმებად. აქ ჩვენ არ შევჩერდებით სხვა დეფექტებზე, რომლებიც წარმოადგენენ პირველი ორი მიზეზის შედეგს. ამ ბოლო დროს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მხრით ფიზკულტურისადმი ყურადღების გაძლიერება წარმოადგენს მოძრაობის შემდგომი განმტკიცების გარანტიას.

გაუმარჯოს საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციების მე-10 წლისთავს!

გაუმარჯოს სუკეთესო ფიზკულტურელებს, სოციალისტური მშენებლობის დამკვრელებს!

გაუმარჯოს ფიზკულტურელთა სუკეთესო მეგობარს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. სტალინს!

სალამი საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის პირველ და საუკეთესო პარტიულ ორგანიზატორს ამხ. ლავრენტი ბერიას!

ვანო კიკნაძე.

საქ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს—ამხ. აკოფოვს

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. საქართველოს ფ ზკულტურული ორგანიზაციის ათი წლის თავზე მხურვალე სალამს უგზავნის ტფილისის ფიზკულტურული პარადს მონაწილეებს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ათი წლის თავის ზეიმი იქნება ფიზკულტურული მუშაობის მაღალი ხარისხის ბრძოლის გაძლიერების, დისციპლინის გამტკიცების და ფიზკულტურული რიგების დარაზმულობის მძლავრი სტიმული. წინ ახალ გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — **ანტიპოვი.**

ფიზკულტურა ნორჩ პიონერთა ორგანიზაციაში

ფიზიკური აღზრდა ბ.კ. ორგანიზაციის მუშაობის ერთერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ფიზიკურ-აღმზრდელობით დარგში ეს ორგანიზაცია ამოცანად ისახავს ყმოიყვანოს თავის რიგებიდან საკმარისი ჯანსაღი და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობა, რომელიც ყველაზე შესძლებს კომკავშირის რიგებში მოშველას. პიონერია უნდა იყოს ჯანსაღი, შრომას უნარის მჭონე, ამტანი, მძლავრი ჯანმტკიცე ხასიათის. ფიზიკური აღზრდა პიონერ პიონერთა ორგანიზაციაში ქმნის შრომის სოციალისტურ დისციპლინას და აკავშირებს ბავშვებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის საბრძოლველად.

პიონერების ფიზიკური აღზრდა მით უფრო ღრმა და მტკიცე იქნება, რაც უფრო მეტად დაუკავშირდება იგი ჩვენი მშენებლობის ამოცანებს, ფაქტებს და პერსპექტივებს. მაგრამ პიონერთა პრაქტიკულ მუშაობაში ფიზიკური აღზრდის საქმეს ჯერ კიდევ ექცევა ჯეროვანი უყურადღება. ასეთი ფაქტები, დავაკვირდეთ მათ ფიზიკურ აღზრდას, და ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ პიონერთა შორის ფიზკულტ-აღმზრდელობითი მუშაობა მოისუსტებს. ამ დარგში პიონერ-მომუშავეების (კერძოდ წინამძღოლთა) მოუმზადებლობის გამო მუშაობა როგორც ცენტრში, ისე რაიონებში ძალიერ მოისუსტებს. საქართველოში ბევრია ისეთი კოლექტივი (უმთავრესად სოფლად) სადაც ფიზიკური აღზრდა არ ტარდება. ბევრია ისეთიც, სადაც მას დამხინჯებული სახე აქვს მიღებული. ხშირად შეხვედება, როდესაც ფიზიკური აღზრდა საერთო აღმზრდელობითი მუშაობის გამოთიშული და იგი განსაკუთრებულ დღეებსა და საათებში სწარმოებს.

ფიზიკური აღზრდის მკვიდრ პიონერულ დისაყენებლად აუცილებლად საჭიროა ბ.კ. ორგანიზაციის კოლექტივების წინამძღოლთა მომზადება. ეს განსაკუთრებით აუცილებელია დარგში მუშაობა ამ სრულებით არ წარმოებს, ან და მხოლოდ სამხედრო მწყობრით ამოიწურება. სოფლად არ არსებობს არც ფიზკულტურული ბიურო და არც ფ.კ. წრე, ამიტომაც სოფლის პიონერებივის მეტი უყურადღება სჭირდება. სასურველია წინამძღოლთა მომზადებადე ფიზიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის გამოყენებულ იქნას სოფლის სკოლის ტანვარჯიშობის მასწავლებელი.

პიონერ-ორგანიზაციაში ფიზიკურ-აღმზრდელობით მუშაობას განსაკუთრებული უყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით იმ თემის ზაფხულის პიონიერის შესახებ, რადგან ზამთრის განმავლობაში სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ დარგში მუშაობას სუსტად ვაწარმოებთ. მუშაობის ფორმა მეტი გალრმავებისათვის აუცილებელია როგორც პარტიის, ისე კომკავშირისა და პროფესიული ორგანიზაციის დახმარება, და ხელმძღვანელობის გაძლიერება, პიონერ-ორგანიზაციასადმი.—ნორჩ პიონერ-ორგანიზაციას უნდა შეეუქნან პირობები, იმისთვის, რომ აღიზარდოს ჯანმრთელი და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობა.

შ. საგინაძე.

ფიზკულტურელების საგრძნობლო გამოძახილი

ჩვენს კლასობრივად დარაზმულ ტალღებს ვერა რა ძალა გაატანებს, მკერდით შევხვდებით ჩვენ მტერსა ნაღმებს გრიგალში გრიგალს დავატრიალებთ, თვით საუკუნეს შევეხეთქებით შეუპოვრობით სიცოცხლით სავსე, მძლავრი ნაბიჯით ვართ გამომთქმელნი: „მზად შრომის და თავდაცვისათვის“. ჭეჩენს, მოედნებს გადავათეთრებთ ვით გაზაფხულზე ბალებს ყვავილნი, სტარტებს ვარჯიშზე ჩვენ ავაფეთქებთ მოქნილ სისწრაფით კუნთებგაწვრთილნი, მკაცრი ქარბუქი, სუსხი, წვიმები, ვერას დაგვაკლებს მჩხვლეტავ ჭვალებით, ჩვენ მხრებს შევარხევთ ვით არწივები, სულ წინ და მაღლა გავექანებით, ვით მეტეორი ცის ლაჟვარდ ბადეში ბზინავს ტენისი გამოქანებით, ბურთთან კარგად ვართ ჩვენ დანაგებში, რაკეტს არ ვიქნევთ ჩვენ მოკრძალებით. მუდამ სიცოცხლის ვართ მოტრფიალე შორს მცონარობა, სიმარდეს ვიცავთ, — ჩვენ მთლად გაშლილი ღერძს ვუტრიალებთ გარშემო როგორც მზეს დედამიწა. და როგორც მთვარე სულ თავისუფლად გაბრწყინებული ვხარობთ მძლავრობით, ჩვენ გაქანებულ რგოლებზე ვსუნთქავთ სალი გულმკერდის ღრმა მოძრაობით. როგორც ოქტომბრის ჯარისკაცები ჩვენ ვართ რწმენით და ხხეულით ნორჩნი, არ დაბერდება ჩვენგან არც ერთი, არ დაგვაჩნდება კანზე ნაოჭი, ჩვენ, როგორც ჯარი გასაკვირალი ბუნების ყველა კანონს შევუტევთ ახალგაზრდობა ჩვენ ვართ პირველი ჩვენს დიად გზებზე ბრძოლას შეუდგეთ. თითეულ ჩვენგანს მკერდზე ნიშანი— „მზად შრომისა და თავდაცვისათვის“ მოკაშკაშე ყდარუნით ვით ქარიშხალში. აწყვეტილ ჯიმის ლუზა მრისხანე, და თვითეულ ნაშანთან ვამბობთ გულწრფელი ნდობით და თავდადებით, — საბჭოთა საზღვარს ვინც შემოაპობს ჩვენ მასზე თოფით ხელში ავდგებით. დეე, ეს ნურვის გაუკვირდება. პროლეტარული სამშობლო გვყვარებს, როგორც სპორტსმენი კომკავშირელნი ბრძოლის დროს წინა ფრონტზე გავიარეთ არა ლაჩრები, ვიყოთ გმირები ვერ მოგვხრის მტრული მკაცრი ომები, — საბჭოთა ქვეყნის ჩვენ ვართ შვილები რევოლუციურ სპორტის ლომები.

ნ. ფხაკაძე.

გავშთა მონაწილეობა მსოფლიო სპარტაკიადაში

მსოფლიო ფიზკულტურული სპარტაკიადა, რომლისათვის დიდი ხანია რაც პოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს, საბავშო სპარტაკიადასაც წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა თავისი გავლენა მოახდინა პროლეტარიატის ბავშვთა აღზრდის საქმეზე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ფაბრიკა-ქარხნების დახურვასთან ერთად მცირდება სკოლების რიცხვი. უმუშევარ მშრომელთა უზარმაზარ არმიას საშუალება არა აქვს ასწავლოს თავის შვილებს, მათ ბავშვების გამოკვებაც არ შეუძლიათ. ჩვენში კი, საბჭოთა კავშირში; სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე გამარჯვებამ უზრუნველყო მუშათა და კოლმეურნეთა ეკონომიური მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესება და შექმნა პირობები მოზარდ თაობის ყოველმხრივ აღზრდისათვის. ბავშვები აქტიურად არიან ჩაბმული შემოქმედებით მუშაობაში.

სპარტაკიადის ამოცანებია პოლიტიკური სკოლისა და პიონერ-ორგანიზაციაში ფიზკულტურული მუშაობის მიღწევათა იემონსტრაცია, ბავშვთა ფართო მასების მობილიზაცია სწავლის ხარისხის ამაღლების, მეცნიერების საფუძვლების დაუფლების, შეგნებულ დისციპლინისა და ფიზკულტურულ მუშაობის გარდაქმნისათვის, საბჭოთა კავშირის ბავშვების მუდმივ ინტერნაციონალურ კავშირის განმტკიცება კაპიტალისტურ ქვეყნის პროლეტარულ ბავშვებთან და იტერნაციონალურ მუშაობის გაძლიერება.

მსოფლიო სპარტაკიადის საბავშო ნაწილის საუკეთესოდ ჩატარებისაფვის აქედან ონდა გავაჩაღოთ მოსამზადებელი მუშაობა.

მოსამზადებელი მუშაობის ცენტრში უნ და მოექცეს პოლიტიკური სკოლის თვითმოქმედი ფიზკულტურის წრე, რომელის გაამტკიცებას მაქსიმალური ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში უნდა ჩატარდეს ავრეოდე სასკოლო, რაიონული, საოლქო და რესპუბლიკანური სავაშო დღესასწაულები, მსოფლიო სპარტაკიადის პროგრამის საფუძველზე.

სპარტაკიადაში მონაწილეობის ძირითად პირობას შეადგენს არა მარტო ტექნიკური მიღწევები, ფიზკულტურაში, არამედ სწავლაში დაწინაურება, სკოლის და პიონერიზაციის საზოგადოებრივ ორგანიზაციებში აქტიური მუშაობა, თვითმოქმედ წრეებში მუშაობა და სხვ.

სკოლებმა ფართოდ უნდა გააშალონ სპარტაკიადისათვის მზადება.

შ. ს.

აღვზარდოთ ფიზკულტურული კადრები

ფიზკულტურის ამოცანები გამომდინარეობს პარტიის და ხელისუფლების საერთო ამოცანებიდან სოციალისტური შენებლობის დარგში. ამის სრულიად თანხმად ფიზკულტურის ამოცანებს ასე განსაზღვრავს: „უნდა აღიზარდოს მუშათა ჯგუფები, ასეთები რომლებიც შესძლებენ უნარი საბჭოთა კავშირის სიძლიერის განმტკიცებისა და მისი დაცვისა მტერთა ზრახვებისაგან“.

ფიზკულტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეორე ხუთწლედთან დაკავშირებით, რომლის პოლიტიკურ შინაარსს შეადგენს კლასთა საბოლოო ლიკვიდაცია. ფიზკულტურულმა მოძრაობამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მშრომელთა ყველა ფენის ფიზიკური გაჯანსაღების და შრომისა და თავდაცვისათვის მათი მომზადების საქმეში.

ფიზკულტურის ამოცანათა განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული სათანადო კადრების მომზადებაზე. კადრების მომზადების საკითხში ამჟამად ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ თუ არ დაჩქარდა მზადების ტემპები, ფიზკულტურული მუშაობა საგრძნობლად შეფერხდება.

ფიზკულტმომზადების სწრაფი ზრდა მოითხოვს პოლიტიკურად მომზადებულ, კლასობრივად გამოკვლილ, ტექნიკურად გაწრთვნილ კადრებს, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ფიზკულტმოძრაობის წინაშე დასმულ ამოცანათა გადაწყვეტა.

კადრების საკითხი კი ამჟამად მეტად მწვავედ დგას. მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი. საქ. ს.ს. რესპუბლიკაში 5.000 სკოლაზე 200 ფიზკულტურის მასწავლებელია, ნამდვილად კი საჭიროა 1200 კაცი. ასეთივე მდგომარეობაა პროფკავშირთა ბაზითაც. კადრების გაანსაკუთრებულ ნაკლებობას განიცდიან რაიონები. სამწუხაროდ, ამ გარემოებას დაგვინებით მიექცა უურადღება. 1927 წლიდან დაწყებულ დემდე მოეწყო ფიზკულტურის ინსტრუქტორთა 3 რესპუბლიკური კურსები—ერთი განათლების კომისარიატისა და 2 ნორჩ პიონერთა ცენტრალურ ბიუროს ბაზით.

მომდინარე წლის ზაფხულიდან ეწყობა ოთხთვიანი რესპუბლიკანური კურსები, რომელიც მოამზადებს ფიზკულტურულ კადრებს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის. ასეთივე კურსები ეწყობა მსხვილ რაიონებში. მომდინარეობს სექციური მუშაობის ხელმძღვანელთა მომზადება. უკვე შეუდგა მუშაობას ტანსავარჯიშო სექციის ხელმძღვანელთა სკოლა. ფიზკულტურის მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა გადასამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეწყობა დაუსწრებელი სწავლება. ამით მასწავლებლებს საშუალება მიეცემათ ჩაბარონ ფიზკულტურის ტექნიკუმის და ინსტიტუტის სრული კურსი.

მომდინარე წლის სექტემბერში მუშაობა დაიწყო ტფილისის ფიზკულტურის ტექნიკუმმა, რომელშიაც ირიცხება 90 კაცი. ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს სასწავლებლებისათვის წარმოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის, დასასვენებელი სახლების, დასასვენებელი სახლების და სანატორიუმებისათვის. ტექნიკუმს სპეციალურად გადაეცა ტფილისის ფიზკულტურის სახლი, რომელსაც აქვს საუკეთესო სპორტული დარბაზი, სტადიონი, ტირი და სხ. ტექნიკუმი განსაკომისაა, მაგრამ მას გასაკუთრებულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ საქართველოს და ტფილისის ფიზკულტურის საბჭოები, რომელთა მზრუნველობით ტექნიკუმს მიეცა სამეცადინო ბინა. საერთო საცხოვრებელი, მძლავრი ბაზა ფიზკულტურული მეცადინეობისათვის და სპეციალისტთა საუკეთესო კადრები.

მუშაობაში ჯერჯერობით არის ნაკლოვანებანი. მაგრამ განსაკომისა და ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს საერთო ძალებით ეს მალე იქნება აღმოფხვრილი და ტექნიკუმს გაეძლება ახალი კადრების მძლავრ საბრძოლოდ.

მ. გოგაბაძე.

ბრძანება

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსი № 173

6 ნოემბერი 1933 წელი.
ქ. მოსკოვი.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭო გილოცავთ თქვენ დიადი ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავს. უდიდეს განსაკუთრებულ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობის და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცების ფრონტზე.

გასული წლის განმავლობაში ყველა მეომრის, მეთაურის და პოლიტმუშაკის დაბრძული მუშაობის მეოხებით წითელმა არმიამ მიაღწია ახალ წარმატებებს თავის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

გასულ წელს, ისე როგორც ჯერ კიდევ არასოდეს, წითელარმიელები და უფროსები უშემადგენლობა შეკიბრების და დამკვრელობის საფუძველზე იბრძოდენ ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის საბრძოლო სწავლებაში, ტექნიკის დაუფლებაში, იბრძოდენ თავისი შემდგომი პოლიტიკური და კულტურული ზრდისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავისათვის წითელი არმია ხვდება კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო უძლეველი. იგი უსაზღვროდ და ბოლომდე ერთგულია სოციალიზმის საქმისა, ბოლშევიკური პარტიის საქმისა. თავის ძალებში დარწმუნებული წითელი არმია უფრო და უფრო ამაღლებს თავდაცვის უნარს, ამაგრებს თავისი საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს, ყოველ დღე და ყოველ საათში მზად არის ერთგულად დაიცვას ჩვენი სამშობლოს ხელშეუხებლობა.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გარშემო ბევრი ჩვენი მტერია, რომელიც ოცნებობს ჩვენი ქვეყნის დაპყრობაზე, ჩვენი ქვეყნის ნაწილების ხელში ჩაგდებაზე, ჩვენი ქვეყნის დაშლაზე. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გარშემო ბევრი ჩვენი მტერია, რომელიც ოცნებობს ჩვენი ქვეყნის დაპყრობაზე, ჩვენი ქვეყნის ნაწილების ხელში ჩაგდებაზე, ჩვენი ქვეყნის დაშლაზე. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გარშემო ბევრი ჩვენი მტერია, რომელიც ოცნებობს ჩვენი ქვეყნის დაპყრობაზე, ჩვენი ქვეყნის ნაწილების ხელში ჩაგდებაზე, ჩვენი ქვეყნის დაშლაზე.